THE SPEECH ABOUT GIORGI CHITAIA

სიტყვა გიორგი ჩიტაიაზე[1]

Tamila Tsagareishvili
Doctor Of History Sciences, Professor of
St. Andrews GeorgianUniversity.
Tbilisi, Georgia.

თამილა ცაგარეიშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, წმ. ანდრია პირველწოდებულის
ქართული უნივერსიტეტის პროფესორი
საქართველო, თბილისი

The article is dedicated to academician Giorgi Chitaya, the founder of ethnography as a scientific field in Georgia. It presents the value of his scientific heritage and his merit in creating the Georgian Ethnographic Scientific School.

დღეს შევიკრიბეთ ქართული ეთნოლოგიური სკოლის მეცნიერ-ფუძემდებლის, ცნობილი მამულიშვილის, გ. ჩიტაიას „შრომების“ ხუთ-ტომეულის კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ მეორე გამოცემის პრეზენტაციაზე. ეს არ არის ჩვეულებრივი რიგითი მოვლენა 2024 წლის 13 ივნისი ყველაზე მნიშვნელოვან თარიღად შევა ეროვნული მეცნიერების ისტორიაში. გ. ჩიტაიას დაბადებიდან 134 წლისთავზე პირველად ხდება მეცნიერის სამეცნიერო ღვაწლის სრულყოფილი აღიარება, რაც ვერც მის სიცოცხლეში და ვერც მერე, 38 წლის მანძილზე ვერ შედგა. დღეს შესაძლებლობა გვეძლევა და ნება მომეცით შემაჯამებელი მოხსენებით წარვსდგეთ საზოგადოების წინაშე, იმ მნიშვნელივანი მიღწევების ჩვენებით, რასაც ქართულმა ეროვნულმა მეცნიერებამ მიაღწია თავისი საუკუნოვანი არსებობის მანძილზე.

აკად. გ. ჩიტაიამ დაიწყო ახალი ერა ქართული ეთნოლოგიის ისტო-რიაში და 8 ათეული წლის მანძილზე შეუდრეკლად იდგა დარგის სამეცნიერო და საორგანიზაციო სათავეებთან. მან ცხოვრებისა და მოღვაწეობის გრძელი, რთული და და ნაყოფიერი გზა განვლო ეს გზა იყო გრძელი, იმიტომ რომ მე-19 საუკუნის ბოლოს დაიბადა და მე-20 საუკუნის მიწურულს მიატანა. რთული იმიტომ, რომ მისი დაკვალიანების ხანა მეცნიერებაში მარქსისტული ეთნოგრაფიის გავრცელების პერიოდს და პოლიტიკურ კატაკლიზმებს დაემთხვა. საჭირო გახდა ტრადიციულ თვალსაზრისზე, პოლიტიკურ ორიენტაციაზე და ევროპულ მეცნიერულ განათლებაზე ხელის აღება მსხვრევა და აზროვნების ცვლილება,ახალი მიმართულების მიცემა.

1 სიტყვა, თქმული აკად. გიორგი ჩიტაიას „შრომები“-ს ხუთტომეულის მეორე გამოცემის პრეზენტაციაზე საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროში 2024 წლის 13 ივნისი.

ნაყოფიერი იმიტომ, რომ მის მიერ შექმნილმა სამეცნიერო სკოლამ შორს გაითქვა სახელი, თვითონ კი აღიარებულ იქნა საერთაშორისო მასშტაბით.

გიორგი ჩიტაია მიეკუთვნება გზის გამკვალავ, ფუძემდებელ და ნამდვილ სკოლათა შემქმნელ მეცნიერთა და ძლიერ საზოგადო მოღვაწეთა რიცხვს, რომელსაც არასოდეს ასდევნებია მაცდური ფიქრი თავისი ადგილი უკვდავთა თანავარსკვლავედში ეძია. იგი მცრედითაც კმაყოფილი იყო და როგორც არაერთგზის უთქვამს, თავს უბედნიერეს ადამიანად ჩათვლიდა, თუ „ერთ სახარბიელო ყანაში ყევარი ხარის ხვედრი მაინც ერგებოდა“. ეს ყანა მისი სკოლა იყო, ხვავი კი მომავალი თაობა. სწორედ ეს თვისებები განაპირობებენ ერისკაცობის, დიდ ქართველობის მაღალ იდეალს. მას ბოლოდე გაყვა რწმენა იმ მიზნის გამარჯვებისა, რომელსაც შესწირა მთელი ცხოვრება, სიცოცხლე, ძალები და ენერგია, რწმენა მომავალი თაობის.

ქართული ეთნოლოგის დაარსების კერა საქართველოს სახელწიფო მუზეუმია, სადაც გ ჩიტაია ივ, ჯავახიშვილის მოწვევთ 1920 წლიდან იწყებს მუშაობას. ეს ის პერიოდია, როდესაც ივ. ჯავახიშვილი აყალიბებს ეროვნული მეცნიერების განვითარების პერსპექტიულ გეგმას,სადაც ისტორიისა და არქეოლოგიის გვერდით ეთნოგრაფიასაც მიუჩინა ადგილი. ჩამოაყალიბა წყაროთმცოდნეობითი კონცეპცია ეთნოგრაფიულ მასალაზე და დააყენა მისი მეთოდოლოგიის შექმნის საჭიროება. ეს ეროვნული მემკვიდრეობა შესასრულებად თავისივე მოწაფეს გიორგი ჩიტაიას გადააბარა. დღევანდელ დღეს, საუკუნის შემდეგ, საბოლოოდ დადასტურდა ივ. ჯავახიშვილის ეროვნული ხედვის სწორი მიმართულება.

ეს დღე მნიშვნელოვანია იმითაც, რომ გ. ჩიტაიას აღიარების თანმდევია ქართველი ხალხის ტრადიციული კულტურული მემკვიდრეობის შემს-წავლელი მეცნიერების და მის მიერ შექმნილი ეროვნული სკოლის მიღ-წევების აღიარებაც, რომელსაც ბედმა მძიმე ჯვარის ზიდვა არგუნა, გასაბჭოების პირველი წლებიდან როდესაც მეფის რუსეთში ცნობილი ეთ_ ნოლოგია აიკრძალა როგორც მეცნერების დარგი, აღადგინეს მხოლოს 30-იან წლებში, ოღონდ სახელცვლილებით ეთნოგრაფია, რაც დარგის დაკნინების ტოლფასი იყო. მიუხედავად ამისა, გ. ჩიტაია ივ. ჯავახიშვილის ხელდებით 1922წ. საქართველოში აგრძელებს ეთნოგრაფიის საკვლევაძიებო და საველე მეცნიერების განვითარებას: 5-კაციანი კოლეტივიდან ქმნის სკოლას, რომელმაც შორს გატანა ქართული კულტურის სახელი და მოწინავე ადგილი დაიკავა ყოფილ საბ. კავშირის არეალზე, ხოლო მაღალხარისხოვანი მონოგრაფიებით საზღვარგარეთის სამეცნიერო წრეებში. ამავე დროს, ჩიტაია გერმანული კლასიკური ეთნოლოგიური სკოლის იდეებზე აღზრდილი არ ცვლის თავის დამოკიდებულებას ეთნოლოგის ძირითადი ამოცანების მიმართ და შენიღბულად, მოქნილი ორიენტაციით ახერხებს ეთნოგრაფიის განვითარების პროგრამაში უფრო ღრმა შინაარსის ჩადებას, ვიდრე ტერმინ ეთნოგრაფიის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობაა. მან ეთნოსის ეთნოგრაფიული აღწერა მჭიდროდ დაუკავშირა სამეცნიერო-კვლევით პრობლემატიკას, დაუპირისპირა საბჭოთა კვლევის მეთოდს საველე კვლევის კომპლექსურ-ინტენსური მეთოდი, შემდგომში ცნობილი ქართული მეთოდის სახელით, სადაც ფართოდ გამოიყენა ევროპული

სკოლების ლეო ფრობენიუსის ეთნოგრაფიული მუშაობის კარტოგრაფიული მეთოდი, კულტურულ ისტორიული სკოლიდან - ეთნოგრაფიის ისტორიულ დისციპლინად აღიარების, ეთნოგრაფიული ფაქტის კრიტიკულად შეფასებისა და კვლევის ინტენსიური მეთოდი, ჩიტაიასეული მეთოდით, ეთნოგრაფიულ ფაქტს არავითარ ღირებულება არა აქვს თუ იგი არ არის დადასტურებული ჯვარედინად და მრავალგზს, ტექსტური მასალა კი პირველწყაროს მიხედვით უნდა შესწავლებოდეს გარემო მოვლენებთან კავშირში, კომპლექსურად. ამ მეთოდით შეგროვებული მასალა უკვე განსაკუთრებული მნიშვნელობის მეცნიერული დოკუმენტია, რადგან ფაქტების სანდოობა დაცულია და წყაროთმცოდნეობითი ღირებულებისაა და არა პრიმიტიული მასალა. ეს პრობლემა აქტუალურია დღესაც, როცა გაიოლდა ეთნოგრაფიული ფაქტებისადმი მიდგომა, რაც აკნინებს მეცნიერების არსს და ამავე დროს ქართველი ხალხის ბიოგრაფიას. ჩიტაიამ შესძლო თავისი პოზიციის გატანა და გამარჯვებასაც მიაღწია. მისი მეთოდის სამი პრინციპი: ტოტალური დესკრიპცია, ისტორიზმი და ეთნოსპეციფიკა ქართული ეთნოსკოლის ძირითად ნიშან-თვისებად იქცა. ამ მეთოდით წარმატებული მუშაობის შედეგებს პირველი შეფასება ივ. ჯავახიშვილმა მისცა 1926 წ. და ამის შემდგომაც მისი სისწორე არაერთხელ დადასტურებულა მისი ხელმძღვანელობით მომუშავე კოლექტივის მეცნიერული მიღწევებით.

გ. ჩიტაიას მოღვაწეობა იყო ოქროს ხანა მეცნიერების ისტორიაში. მაგრამ მისი გარდაცვალების შემდეგ 90-იანი წლების კატაკლიზმებმა და მძიმე სოციალ-ეკონომიკურმა მოვლენებმა სერიოზული დარტყმა მიაყენეს მეცნიერებას, დასცა მისი როლი და გაანადგურა გ. ჩიტაიას სკოლაც. დარგი დაიშალა. რეფორმამ დაითხოვა პროფესიონალი კადრები როგორც ინსტიტუდან ისე უნივერსტეტიდან, ცარიელი დარჩა ეთნოგრაფიული ველი, დავიწყებას მიეცა ჩიტაიას საველე ეთნოგრაფიული მეთოდი. რეფორმამ დაამცრო გ. ჩიტაიას ფუძემდებლური ღვაწლიც. მთლიანად დაიშალა მისი შექმნილი კათედრა თსუ-ში, განთავისუფლებულ იქნენ მთლიანად კათედრის პროფესრ მასწავებლები და მეცნიერ მუშაკები, განადგურდა მრავალი წლის მანძილზე შექმნილი არქივი და ბიბლიოთეკა, უნიკალური ეთნოგრაფიული ექსპოზიცია. ისტორიისა და ეთნოლოგის ინსტიტუტში გააუქმეს გ. ჩიტაიას კაბინეტ არქივი და გამოაძევეს გ. ჩიტაიას პირადი არქივიც. ჩემს პირად არქივში დაცულია იმ დროის ხელმძღვანელობის ბრძანება დირექციიდან, რომ ერთ თვეში უნდა განთავისუფლებულიყო კაბინეტი. კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს გ.ჩიტაიას მიერ დაფუძებული ღია ცის ქვეშ მუზეუმზე მისი სახელის მინიჭება და მუზეუმის დაარსების იდეის ავტორობაც კი. არა მარტო ეს, მუზეუმი მოექცა კომერციული ინტერესების სფეროში და რამდენი კიდევ.

ახალმა თაობამ ცოტა რამ თუ იცის დიდ ადამიანთა გასაჭირითა და დრამატიზმით აღსავსე ცხოვრებაზე, რომელიც თან სდევდა პატრიოტ ადამიანთა მიერ განვლილ მამულიშვილობის მძიმე გზას.

არა მარტო საზოგადოებრივი, ასევე მძიმე იყო გ. ჩიტაიას პირადი ცხოვრებაც. მან მთელი შეგნებული ცხოვრება საქართველოში ეროვნული

მეცნიერების განვითარებას და ივ. ჯავახიშვილს კონცეპციის შესრულებას შესწირა, მაგრამ მის ცხოვრებას მუდამ თან სდევდა შავი პიარი, რომელიც ჩრდილში აყენებდა მის მამულიშვილურ საქმიანობას და განწირული იყო იგნორირებისთვის ან მრავალწლიანი აღსრულებისთვის. მაგ. თსუ-ში ეთნოგრაფის კათედრის ცალკე გამოყოფას 20 წელი შეალია,10 წელი ეთნოგრაფიული გამოფენის ექსპოზიციის მოწყობას საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, ღია ცის ქვეშ მუზეუმის იდეის განხორციელებას 30 წელი, ასევე მრავალწლიანი გახდა მისი სამეცნიერო მემკვიდრეობის გამოცემა და ა. შ. ყველა ახალ წამოწყებას თან სდევდა საჩივრები მთავრობის ხელმძღვანელ პირებთან. ამის მიზეზი მის გასაიდუმლოებულ ბიოგრაფიაში დევს, საიდანაც გ. ჩიტაიას სიცოცხლის წლებში ამოღებული იყო 1918-24 წლები. აღვადგინეთ მისი გარდაცვალების შემდეგ 100 წლის საუბილეო თარიღზე.

დღეს უკვე ცნობილია, რომ ახალგაზრდა გ. ჩიტაიაზე დიდი გავლენა იქონია თანადროული ეპოქის სოციალ-პოლიტიკურმა მოვლენებმა. 1916 წ პეტრბურგისა და კენისბერგის უნივერსიტეტებში დაუფლებული განათლებით იგი ბრუნდება სამშობლოში და ერთვება რევოლუციურად აბობოქრებული ფოთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1918-21 წლებში არის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრი, ფოთის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე. 1921 წ. როდესაც მენშევიკურმა მთავრობამ ემიგრაციაში წასვლა შესთავაზა, მან უარი განაცხადა და საქართველოში დარჩა. აქედან იწყება მისი შავი დღეები. როგორც პოლიტიკურად არასაიმედოს იძულებულს ხდიან დატოვოს ფოთი. ამის შედეგ სხვა მოწინავე ინტელეგენციის მწარე ბედს იზარებს; ციხე, უნდობლობა. გასაბჭოების შედეგ აპატიმრებენ, იჯდა მეტეხის ციხეში, 1924 წ. კი ანტისაბჭოთა აჯანყების მოწყობის ბრალდებით იყო სიკვდილმისჯილი ახალციხის სამეულის მიერ. გადარჩა შემთხვევით. ასეთ ურთულეს პოლიტიკურ სიტუაციაში ყალიბდებდა მომავალი მოღვაწის პიროვნება, პატრიოტიზმი, საზოგადოებრივი აქტივობისადმი მიდრეკილება. 1924 წ., გადის სოციალ-დემოკრატიული პარტიის რიგებიდან, საბოლოოდ უარს აცხადებს პოლიტიკურ მოღვაწეობაზე და სხვა მხრიდან დადგა თავისი ხალხის კულტურული მემკვიდრეობის სადარაჯოზე, მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ეროვნული მეცნიერების სამსახურს შესწირა. მაგრამ ამ მძიმე პერიოდის ანარეკლი სიცოცხლის ბოლომდე დარჩა მის ქვეცნობიერში შიში „ღამის 4 საათის“ და „კარებზე კაკუნის“.

შეიძლება ითქვას, რომ გიორგი ჩიტაია შევიწროებული იყო საბჭოთა მთავრობის მხრიდან. „სიტემატური თვალთვალი, უნდობლობა აი ჩემი ცხოვრების მეგზური, ზოგმა ჩემმა კეთილისმსურველმა კომუნისტურ პარტიაში შესვლაც შემთავაზა. მე ეს არ შემეძლო: რწმენით გაორებული ადამიანი არც შინ ვარგა და არც გარეთ. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკის გარეთ დავდექი, არაფერს ვაშავებდი მაინც ხშირად მაგონებდნენ ათასნაირ ცილისწამებას. ვიცი ზოგიერთები ჩემი პოლიტიკური ბიოგრაფიის შესახებ მასალებს არქივებში ეძებდნენ. შეუნდოთ ღმერთმა“ ასე გამოსთქვა გულისტკივილი სიცოცხლის ბოლო დღეებში. წარსულის ეს პერიოდი, მძიმე ტვირთად გაყვა მთელ მის ცხოვრებას და მასზე თავდასხმის იარაღად

იყენებდნენ. მთელი ცხოვრების მანძილზე არ ქონდა საბ. კავშირის საზღვრებს გარეთ გასვლის უფლება, ევროპიდან იწვევდნენ მსოფლო ფორუმებზე, მაგრამ მონაწილეობდა მხოლოდ გაგზავნილი სამეცნიერო მოხსენებებით, მკაცრ ცეზურას გადიოდა მისი ნაშრომები, თავის სიცოცხლეში ვერ მოესწრო საუნივერსიტეტო ლექციების კურსის „სვეტების“ დაბეჭდვას, რომელიც ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა სტუდენტებში და მასზე ისტორიკოსთა თაობები იზრდებოდა. არც ერთი მისი საიუბილეო დღეები არ აღნიშნულა ოფიციალურად, ის მხოლოდ მისი მოწაფეების ძალისხმევით აღინიშნებოდა სამეცნიერო საზოგადოების ვიწრო წრეში. იგი პასუხგაუცემლად, შეგნებულად იტანდა ყოველგვარ საჯარო დამცირებას, არ შეპუებია მასზე გავრცელებულ ჭორებს და ათასნაირ მოარულ ხმებს და ჩუმად აკეთებდა საქვეყნო საქმეს. გ. ჩიტაიამ ეროვნულ მეცნიერებაში დატოვა საოცარი შრომისა და თავგანწირვის ღრმა კვალი პატრიოტი მეცნიერის, რომელიც მარად დარჩება ერისკაცობისა და მეცნიერული თავდადების მაგალითად.

ერთადერთი, რაც ამ ცნობილი მეცნიერის მრავალწლიან ნაღვაწს მინუსად გასდევდა იყო ის, რომ მის სიცოცხლეში არ მოხდა მისი სამეცნიერო მემკვიდრეობის სრული რეალიზაცია, რაც მეცნიერთა ერთ წრეში სკეფსის იწვევდა, მეორე კი მასზე თავდასხმის იარაღად იყენებდა. ეს ერთი მხრივ, ზემოთდასახელებული ობექტური მიზეზებით, მეორეს მხრივ მისი პიროვნული თვისებებითაც იყო განპირობებული. „მეცნიერმა უნდა წეროს მკაცრი მოქალაქეობრივი და მეცნიერული პრინციების დაცვით და მიზნად არ უნდა დაისახოს მეცნიერულ ღირებულებას მოკლებული იაფფასიანი, მონოგრაფიების წერა“, რაც პირადი მაგალითით გვიჩვენა. ამიტომაც მისი გამოკვლევები საერთაშორისო არენაზე გასული ყურადღებას იპყრობდა არა მოცულობით, არამედ პირველსიტყვაობითა და ლაკონურობით, ღრმა მეცნიერული ანალიზით. ეს ნაშრონები დღეს ეთნოლოგიური კვლევის ეტალონად ითვლება, მაგრამ ადრეულ წლებში ამას მინუსად უთვლიდნენ.

მაგონდება ორი შემთხვევა. 60-იანი წლების სტუდენტობა მომსწრე ვართ იმ ფაქტის, როგორ დაიცვა ცნობილმა მეცნიერმა ნოდარ ლომოურმა თსუ-ის 93 აუდიტორიაში, ბატონი გიორგი უსაფუძვლო თავდასხმისგან „ვაცალოთ ბატონო. ის დროც დადგება, რასაც ჩვენ ვერა, მაგრამ ეს სტუდენტობა მოესწრება, როდესაც გ. ჩიტაია მონოგრაფიებით წარსდგება მსოფლიო მეცნიერების წინაშე და ეს იქნება ქართული მეცნიერების დიდი ეროვნული მონაპოვარი“. იგივე თავდასხმები მეორდებოდა წლების მანძილზე. ისტორიის ინსტიტუტის დირექციის საბჭოს სხდომაზე ერთმა მეცნიერმა ასეთი განაცხადი გააკეთა: „როგორ შეიძლება რომ აკადემიკოსად აირჩიეთ გ. ჩიტაია ორგვერდიანი ნაშრომებისთვის, რომელსაც ერთი მონოგრაფიაც არ აქვს გამოცემული, მაშინ როდესაც არიან ხვავიანი მეცნიერები რომელთა მონოგრაფები ერთ ურემზე ვერც დაეტევაო“. მაშინ ხმა აიმაღლა აკად. ოთარ ლორქიფანიძემ - „გ. ჩიტაიას რამდენიმე გვერდიანი ნაშრომები როგორც თქვენ ახსენეთ იმით არის აღიარებული ევროპის მასშტაბითაც, რომ მასში ენციკლოპედიური ცოდნა ჩამოსხმულია სამეცნიერო შედეგებში. ეს იშვიათი ნიჭია და ერთეულია ასეთი აზროვნების მეცნიერები. თქვენს მიერ დასახელებული, მონოგრაფიებით სავსე ურემი კი ორღობესაც ვერ გაცდაო“.

გ. ჩიტაიამ უზარმაზარი მემკვიდრეობა დატოვა, როგორც თეორიული ისე მეთოდოლოგიური ხასიათის. 1984 წ. გადაწყვიტა პირადი არქივის დამუშავება და გამოსაცემად მომზადება, „ეს ჩემი უკანასკნელი სათხოვარია“ და მთხოვა შემდგენელ-რედაქტორის მოვალეობის შესრულება. მე ჩავთვალე, რომ ეს ჩემს ძალებს აღემატებოდა და სარედაქციო კოლეგიის შექმნა შევთავაზე, რაზეც უარი მივიღე. 1986 წ. ბატ. გიორგი გარდაიცვალა, მის შემდეგ ბატ. ალექსი რობაქიძეს ვთხოვე სარედაქციო კოლეგიის შექმნა, რაზეც კვლავ უარი მივიღე „ბატ. გიორგის უკანასკნელ სურვილს ვერ გადავალთო“. ასე შევები ტიტანურ შრომაში, პირადი საქმის უკან გადადების ხარჯზე, რომლის განხორციელებას 30 წელზე მეტი დრო დასჭირდა. გამოცემა ნავარაუდევი თავდაპირველად მისი დაბადებიდან 95 წლისთავისათვის, შემდგომ 100, შემდეგ 105, შემდეგ 110, მაგრამ ამაოდ. ამაო გამოდგა ჩვენი 19 წლიანი ძიება შრომების გამოსაცემი სახსრების მოსაპოვებლად. საქართველოში არ აღმოჩნდა ქველმოქმედება, რომ მეცნიერების დასახმარებლად თანხას გაიღებდა. პასუხად ვიღებდით დამცირებას, გამტყუნებას,“ რა დროს წიგნია, ხალხს პური არა აქვსო“.

გ. ჩიტაიას „შრომების“ გამოცემამ ურთულესი გზა გაიარა. ამ დროს მეცნიერული მიღწევების რეალიზაცია თითქმის შეუძლებელი იყო. ხელს გვიშლიდა უარყოფითი მოარული აზრი ჩიტაიას მეცნიერული მემკვიდრეობის შესახებაც. გვჭირდებოდა მაღალი აკადემიური შეფასება გამოცემისთვის, მაგრამ სამწუხაროდ ყველა აკადემიკოსმა უარი გამოგვიცხადა, „არ ვიცნობთ მის შემოქმედებასო“. ერთადერთი პიროვნება, რომელიც მხარში ამოგვიდგა მაშინ და საქართ. მეცნერებათა აკადემიის საგამოცემლო-სარედაქციო საბჭოს წინაშე დააყენა ჩიტაიას უნიკალური მემკვიდრეობის გამოცემის საჭიროება იყო აკად. როინ მეტრეველი. 1997 წ. მოვახერხეთ პირველი ტომის გამოცემა და ამით შეწყდა. ერთადერთ გზად გამოცემის მიტოვება რჩებოდა. სწორედ ამ გაჭირვების ჟამს მხსნელად მოგვევლინა გ. ჩიტაიას სკოლაგავლილი, მსოფლიოში ცნობილი მხატვარ-მონუმენტალისტი აკად. ზ. წერეთელი. სწორედ ამ ორი პიროვნების პირადი დამსახურებაა გ. ჩიტაიას შრომების პირველი გამოცემა, რითაც გამოხატეს პატივისცემა ამაგდარი მამულიშვილის მიმართ.

ცნობილია, რომ თანამედროვეთა მიერ პიროვნების მოღვაწეობის მასშტაბების შეფასება ყოველთვის არ არის მყარი. მას დრო აფასებს: ჩრდილი ეფარება ან პირიქით. პიროვნების სახელი იჩრდილება დროსთან ერთად ან მისი საქმიანობის შედეგები და იდეები ახალ თაობასთან ერთად უწყებს თანაარსებობას. სწორედ ასეთი ბედი ერგო გ. ჩიტაიას. სწორედ ამ მოვლენის აღსანიშნავი დღეა დღეს. დრომ აჩვენა, რომ ამაოდ არ ჩაუვლია ათწლეულების მუშაობას გ. ჩიტაიას მემკვიდრეობის გადასარჩენად. მოულოდნელად მნიშვნელოვანი მოვლენის წინაშე დავდექით. თანამედროვეობაში სახელწიფომ მიხედა გ. ჩიტაიას უნიკალურ მემკვიდრეობას.

2023 წ. უკვე სახელწიფომ, კულტურის სამინისტროს ინიციატივით, უშუალოდ კი მინისტრის, ქალ. თეა წულუკიანის თანადგომითა და აქტიური თანამშრომლობით, ხელში აიღო გ. ჩიტაიას მემკვიდრეობაზე ზრუნვა. უპირველესად დღემდე რუდუნებით მოტანილი საუკუნოვანი არქივის

დაცვა-დაბინავება, სამეცნიერო მემკვიდრეობის ხელახალი გამოცემა. სამუზეუმო საქმიანობაში გ. ჩიტაიას სახელობის ყოველწლიური პრემიის დაარსება სახელოვან მეცნიერთა გვერდით. სახელმწიფოს ყურადღების ქვეშ მოექცა ეთნოგრაფიული მუზეუმი ღა ცის ქვეშ, დაიწყო ახალი ეტაპი მის განვითარებაში: ახალი მართვის სისტემის ჩამოყალიბება, ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ექსპონატების რეაბილიტაცია და ა.შ. პრიორიტეტულ მიმართულებად იქცა დღემდე მშენებარე ღია ცის ქვეშ მუზეუმის საექსპოზიციო ზონის დამთავრება. კერძოდ, გ. ჩიტაიას მუზეუმის დაარსების გენერალური გეგმით გათვალისწინებული მესამე, თიანეთის ზონის დაკომპლექტება ციხე-დარბაზული სახლებით, რომლებიც ღირსეულად დაგვირგვინებენ მუზეუმის ერთიან ანსამბლს. მუზეუმის რეაბილიტაციის პროცესში აქტიურად გამოიყენება გ. ჩიტაიას მუზეუმის აგების კონცეპცია, რომელიც დაცულია როგორც ნაბეჭდი, ისე ხელნაწერების სახით.

ყოველივე ზემოთაღნიშნულმა ცხადყო, რომ გ. ჩიტაიას მემკვიდრეობამ გაამართლა, იგი აღიარა ოცდამეერთე საუკუნის თაობამ, ეს კი მეცნიერის მეორედ დაბადების ტოლფასია. ამიტომაც არის დღევანდელი დღე ისტორიული და ასე ამაღელვებელი ჩემთვის. გ. ჩიტაიას შრომებზე იმ მრავალწლიან შრომატევად სამუშაოს გვერდით, რომელსაც ერთვოდა გამოცემასთან დაკავშირებული წინააღმდეგობები, თან გამოსავალიც რომ არსაიდან ჩანდა, მდგომარეობას გაუსაძლისს ხდიდა. ამას ერთვოდა დიდი პასუხისმგებლობა უპირველესად ავტორის და მერე საზოგადოების წინაშე, რომელიც ეჭვით უყურებდა ჩემს საქმიანობას. მაგრამ მე ბოლომდე მამხნევებდა ბატ. გიორგის შეგონება: „ამ მძიმე გზაზე დროთა განმავლობაში აუცილებლად გამოჩნდებიან კეთილი ადამიანები, ერთეულები, რომლებიც მხარში ამოგიდგებიან“. ასრულდა ბატონ გიორგის წინასწარმეტყველება. დღეს სწორედ ამ პიროვნებებს ვუხდი მადლობას, მათ მაღალ მოქალაქეობრივ შეგნებას:

უპირველესად ბატონ ზურაბ წერეთელს, რომლის უანგარო დახმარებთა და მხარდაჭერით გადავარჩინეთ საუკუნოვანი არქივი და გამოვეცით გ. ჩიტაიას ხუთტომეულის პირველი გამოცემა. ასევე შეასრულა გ. ჩიტაიას ნანატრი სურვილი ღია ცის ქვეშ მუზეუმში სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრის „ეთნოგრაფის სახლის“ დაარსებით;

ბატონ როინ მეტრეველს, რომელიც მუდამ მხარში ედგა ეთნოგრაფიას. შეასრულა უდიდესი მისია, როდესაც თავდებში დაუდგა „შრომების“ კერძო, საზოგადოებისათვის უცნობ გამოცემას და ბოლომდე მის სადარაჯოზე დგას.

და პირადად კულტურის მინისტრს, ქალ. თეა წულუკიანს, ამ ეროვნული საქმის დაგვირგვინების მოთავეობისათვის. იმ გაუსაძლის პირობების ფონზე, რაც გადაიტანა მეცნიერმა ეს იშვიათი მოვლენაა, პირველად მოხდა მისი სრულფასოვანი აღიარება სახელმწიფოს მხრიდან. ქალბატონო მინისტრო, თქვენ საქმიანი პასუხი გაეცით ამაგდარი მამულიშვილის მიერ სიცოცხლის ბოლო დღეებში დასმულ ერთ მძიმე ისტორიულ კითხვას, რომელიც მთელი ცხოვრება მაწუხებდა და დღეს პირველად ვამხელ ფართო საზოგადოების წინაშე: „როგორ ფიქრობთ, მაღიარებს მომავალი თაობა?“

ბოლო დროის მოვლენები მაფიქრებინებდა,რომ გ ჩიტაიას სახელი და მემკვიდრეობა დარჩებოდა მხოლოდ მისი მოწაფეების მადლიერების ამარა. მაგრამ აი შედეგიც დადგა. დღეს თამამად შემიძლია ვუპასუხო ბატონ გიორგის „დიახ, თქვენ გაღიარათ მომავალმა თაობამ, დაფასდა თქვენი ამაგი ქართველი ხალხის წინაშე“ მადლობა ამისთვის თქვენ, იმისთვისაც, რომ აღადგინეთ ისტორიული სამართლიანობა 21 საუკუნის თაობის სახელით და აღიარეთ ამაგდარი მეცნიერის უანგარო ღვაწლი. ამიტომაც გასაგებია ჩემი მღელვარება და მადლიერება თქვენს და დღევანდელი დღის მიმართ. გთხოვთ ნუ ჩამითვლით გაზვიადებაში და მარტო ამ ერთი ისტორიული დღისთვის, მრავალწლიანი, უიმედო საქმიანობის წარმატებით დასრულების საოცარი შეგრძნების ხელმეორედ განცდისთვის, მეორედ დაბადების საშუალება რომ მქონდეს, კვლავ დაუფიქრებლად, ხელახლა შევუდგებოდი ამ უძიმესი დავალების შესრულებას.